



## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, 2016 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, შემოსული წერილობითი მოთხოვნებისა და მათზე რეაგირების შესახებ ანგარიში:

- 2016 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით სულ შემოვიდა 47 (ორმოცდაშვიდი) წერილობითი მოთხოვნა. მათგან 44 (ორმოცდაოთხი) წერილს გაეცა პასუხი, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად. შესრულების პროცესშია ორი მოთხოვნა. უარი ინფორმაციის გაცემაზე ეთქვა ერთ განმცხადებელს. შემოვიდა ერთი საჩივარი, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ან მათზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირს სახაზინო სამსახურში წარმოადგენს სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სახაზინო სამსახურში არ დაფიქსირებულა.

